სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 13 14. 03. 2018

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 16 04. 09. 2023

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 28 30. 11. 2023

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 15. 04. 06. 2024

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 8 25. 04. 2025

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 21 07. 08. 2025

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 5 14. 03. 2018

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 13 04. 09. 2023

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 21 01. 12. 2023

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 11 06. 06. 2024

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 5 25. 04. 2025

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 15 07. 08. 2025

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე: მ. ღარიბაშვილი

თელავი
2018 წელი

მუხლი 1. რეგულირების წესი

ამ წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – თესაუ) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა და სტუდენტის უფლება – მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მუხლი 2. თესაუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. თესაუ - ში ბაკალავრიატისა და ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სწავლების საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებითა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. თესაუ - ს მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ერთიანი სამაგისტრო გამოცდების დებულებით, თესაუ - ს მაგისტრატურაში მიღების წესისა და წინამდებარე წესის შესაბამისად. კერძოდ, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგი და სპეციალობაში უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდის / გასაუბრების შედეგი.

3. დოქტორანტურის სწავლების საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭების საფუძველია თესაუ -ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის)" დებულებით/სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №111/2013 - 04.10.2013).

5. ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს / მაგისტრანტობის კანდიდატებს თესაუ–ს სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა თესაუ-ში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ).

მუხლი 3. თესაუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა / გარე / შიდა მობილობა / დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /კრედიტების აღიარება/ კრედიტების განაწილება

თესაუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის მსურველი პირის ჩარიცხვა ხორციელდება არაუმეტეს ორჯერ სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში, რომლის საფუძველია:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრისა და პორტალის მონაცემები სტუდენტის მობილობის უფლების შესახებ;

ბ) მობილობის მსურველი პირის განცხადება ჩარიცხვის თაობაზე;

გ) პროგრამის შემსწავლელი კომისიის დასკვნა;

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

დ) ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი;

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

ე) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნა.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01. 12. 2023 წ)

2. თესაუ-ს შიგნით მობილობის (შემდგომში შიდა მობილობა/ დამატებითი პროგრამის შეცვლა) მსურველი პირის სპეციალობის შეცვლა ხორციელდება წელიწადში არაუმეტეს ორჯერ, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის სპეციალობის შეცვლის შესახებ 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში, რომლის საფუძველია:

ა) მობილობის მსურველი პირის განცხადება სპეციალობის შეცვლის თაობაზე;

ბ) პროგრამის შემსწავლელი კომისიის დასკვნა;

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

გ) ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

შიდა მობილობით სარგებლობა პირს შეუძლია პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ. შიდა მობილობით სარგებლობა ასევე შეუძლიათ სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებს.

3. მობილობის/შიდა მობილობის/სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს ფაკულტეტზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი. კომისია შეიმუშავებს დასკვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს თესაუ - ს რექტორს.

- კომისიის მუშაობის ფარგლებში ფუნქციები ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს კრედიტების შესაბამისობას, აჯამებს კრედიტების რაოდენობას, გაწერს ინდივიდუალურ სასწავლო გრაფიკს საჭიროების შემთხვევაში და აწერს ხელს.

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დასკვნას აჯამებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მის იურიდიულ და აზრობრივ გამართულობას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

გ) დეკანი აკონტროლებს დასკვნის სიზუსტეს და ამოწმებს ბეჭდით და ხელმოწერით.

4. დასკვნა-შუამდგომლობაში მკაფიოდ უნდა აისახოს, თუ რომელი სასწავლო კურსები ჩაეთვალა სტუდენტს ათვისებულად მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით (შესაბამისი კრედიტებისა და შეფასებების მითითებით) და რომელი სემესტრიდან შეიძლება დაიშვას იგი სწავლის გასაგრძელებლად. დასკვნაში აუცილებელია მიეთითოს სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობა, პროგრამის დასრულებისათვის დარჩენილი კრედიტების რაოდენობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის სწავლის ინდივიდუალური გრაფიკი. თანხმობის შემთხვევაში დაინტერესებული სტუდენტი აღნიშნულ დასკვნას აწერს ხელს.

5. ამოღებულია ***წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.***

6. ამოღებულია ***წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.***

7. ფაკულტეტის დეკანისა და თესაუ - ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნის/ სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის/ სპეციალობის შეცვლის შესახებ.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01. 12. 2023)

8. ამ მუხლში გაწერილი კრედიტების აღიარების /განაწილების წესი ვრცელდება სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესში, ინდივიდუალური გეგმის შედგენისას და სხვა კანონით გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს.

მობილობის/შიდა მობილობის/სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველმა პირმა დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის (არსებობის შემთხვევაში სტუდენტის სატატუსის შეჩერების/შეწყვეტის) ბრძანების დამოწმებული ასლი;

გ) ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან, რომელშიც მითითებულია სტუდენტის მიერ გავლილი საგნების მოცულობა კრედიტებში და მიღებული შეფასებები (ამონაწერი დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით);

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულმა პირმა ჩარიცხვის სერთიფიკატი (არსებობის შეთხვევაში);

ვ) ატესტატი და/ან სწავლების წინა საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) ორი ფოტოსურათი (ფერადი 3X4);

თ) ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა (დოქტორანტებისთვის საჭიროების შემთხვევაში);

ი) ცნობა ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ (სტუდენტის სტატუსის აღდგენის / შიდა მობილობის შემთხვევაში);

მუხლი 4.სასწავლო სემესტრები

1. სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისგან: პირველი შემოდგომისა და მეორე გაზაფხულის.

2. სასწავლო წლის დაწყებამდე რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, სააუდიტორიო მეცადინეობებისა და საგამოცდო პერიოდის ვადები / აკადემიური კალენდარი.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)

მუხლი 5. სტუდენტის დატვირთვა

1. სწავლების პროცესის საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მართვა ხორციელდება დაგროვილი კრედიტებისა და შეფასების სისტემით; თესაუ-ში დანერგილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა ECTS;

2. სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. შესაძლებელია პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა.

3. სტუდენტის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 30 კრედიტს.

4. შესაძლებელია სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვა, რაც მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის

საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თესაუ–ში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას და გამოხატავს სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე (სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში) დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)

4. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თესაუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ქვეყანაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების თესაუ-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

5. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტისმონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თესაუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.

დ) პირადი განცხადება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით, სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თესაუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებამდე

ა რ ა უ გ ვ ი ა ნ ე ს 1 (ერთი) კვირით ადრე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ (მას ერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური) იგი კარგავს სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

3."სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა სტატუსის შეჩერებიდან ჯამში 5 (ხუთი) წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა".;

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N11 06. 06.2024წ.)

4.დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თესაუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (ხანგრძლივი ავადმყოფობა, სამხედრო სავალდებულო სამსახური, უცხოეთში ხანგრძლივი ვადით გამგზავრება, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ხანგრძლივი ვადით პატიმრობა და სხვა).

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

6. სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და თესაუ - ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესებით.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. *(ამოღებულია-წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)*

2. თესაუ-დან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება ამ წესის მესამე მუხლში მითითებული პროცედურების თანახმად.

3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადებით მიმართვა დასაშვებია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სტუდენტს გასდის 5 (ხუთი) წლის ვადა სტატუსის შეჩერებიდან ან დაბრუნდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამიდან.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)

4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადებასთან ერთად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ფინანსური დავალიანების შესახებ.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

5. სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება თესაუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით (გარდა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისა);

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) თესაუ - ში სწავლის პერიოდში ჯამში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N11 06. 06.2024წ.)

ბ) სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება (თესაუ - ს ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა" და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე);

ე) გარდაცვალება;

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და თესაუ - ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები

1. თესაუ-ს სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ)ისარგებლოს თესაუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ)მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თესაუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი

წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი. (სხვა შეფასების შედეგის გასაჩივრება ხდება ფაკულტეტზე და შესაბამისი საკითხის გადაჭრის მიზნით ფაკულტეტის დეკანი ქმნის კომისას. კომისიის მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილებები);

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ზ) სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა რექტორის სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე, გაიუქმოს დამატებითი სპეციალობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)

2. თესაუ-ს სტუდენტი ვალდებულია:

ა) სტუდენტი ვალდებულია თესაუ - ს მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას თესაუ - ს წესდება, პერიოდულად ეცნობოდეს თესაუ - ს შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

ბ) (ამოღებულია-*წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)*

გ) არაუგვიანეს მესამე სემესტრისა დარეგისტრირდეს მეორე სპეციალობაზე (არჩევის სურვილის შემთხვევაში).

3. პირს თესაუ - ს სტუდენტის სტატუსი ენიჭება თესაუ - ში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს თესაუ - სთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

მუხლი 12. დამატებითი სემესტრი

1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.

2. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად.

3. თუ სტუდენტი დამატებით სემესტრებში ვერ შეასრულებს შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებს, მას უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

მუხლი 13. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება

საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი14. შუალედური/დასკვნითი გამოცდა /შეფასების სხვა კომპონენტები

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გადალახული აქვს შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (რომელიც შედგება შესაბამისი შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 %) . ამასთან გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა დააგროვა დადგენილი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (შესაბამისი შეფასების ფორმის არაუმეტეს 60%-ისა).

2. საგამოცდო პროცესს წარმართავს თესაუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც მუშაობს შესაბამისი დებულების მიხედვით.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

3. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თესაუ-ს ეთიკის კოდექსთან;

ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილი ბარიერის ვერ გადალახვა;

4. შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

ა) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია რექტორის სახელზე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს რექტორი. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდების დასრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N11 06. 06.2024წ.)

ბ) *(ამოღებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023)*

გ) სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული ზეპირი და წერითი კომპონენტების ანაზღაურება შესაძლებელია (არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე ფინალური გამოცდების დაწყებამდე) მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში რექტორის ბრძანების საფუძველზე. განსხვავებულ ვადებში საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ავადმყოფობა, ოჯახის წევრის ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება და სხვა) რექტორი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტების ანაზღაურების შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ მიმდინარე სემესტრისა და გონივრული ვადების ფარგლებში.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)
(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N11 06. 06.2024წ.)

დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

ა) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია რექტორის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს რექტორი ;

ბ) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

გ) თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია განმეორებით, თვითდაფინანსებით გაიაროს სასწავლო კურსი.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N13 04. 09. 2023 წ.)

დ) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში შესაბამისი დამატებითი გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე. ეს არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი /საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. დამატებით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0;

ვ) სამაგისტრო ან სადისერტაციო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში (FX), მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია; თუ საბაკალავრო ნაშრომი შეფასდა 41-დან 50 ქულის ჩათვლით (FX), დაცვის დამატებით დანიშვნა შესაძლებელია შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღის შემდეგ და არა უგვიანეს 15 დღისა. ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია დანიშნოს დამატებითი პერიოდი განმეორებითი დაცვებისთვის;

ზ) საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია რექტორის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით;

სტუდენტისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა:

ა) ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია რექტორის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს რექტორი;

ბ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იღებს თესაუ-ს რექტორი მომდევნო სემესტრის დაწყებამდე;

გ) გადაუდებელი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, რექტორის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდეს ინტენსიური კურსები.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

შუალედური გამოცდის შეფასების გაუმჯობესება:

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს კურსის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ გაიუმჯობესოს შუალედურ გამოცდაში მიღებული შეფასება.

1. სტუდენტს საგამოცდო შედეგის გაუმჯობესება შეუძლია შუალედურ გამოცდაში მიღებული შეფასებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში,

2. სტუდენტმა შუალედური გამოცდის გაუმჯობესების თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

3. გადაბარების შედეგად მიღებული ქულა ჩაითვლება საბოლოოდ მიუხედავად იმისა, აუმჯობესებს თუ არა ის პირველადი შეფასების შედეგს.

4. გადაბარების თარიღი, ფორმატი და ჩატარების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტში არსებული ადმინისტრაციული რეგულაციების შესაბამისად.

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №15 07. 08.2025წ.)

მუხლი 15. სტუდენტის შეფასების წესი

1. სტუდენტის სასწავლო კომპონენტი ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებით. თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი შეფასების ფორმით განსაზღვრული ქულის 60% - ს. კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ სტუდენტის მიერ გადალახულია შეფასების ორივე ფორმაში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და შეფასების ორივე ფორმის დაჯამების საშუალებით მიღებული ქულაა 51 და ზევით. მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

2. დასკვნითი / შუალედური და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი, ან წერითი / ზეპირი და სხვა კომპონენტები (სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით). დოქტორანტურაში შუალედური / დასკვნითი შეფასებების ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

3. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. შეფასების სისტემა მოიცავს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას. კერძოდ:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	**შეფასება**	**შეფასების კვალიფიკაცია**
დადებითი		
91–100	(A)„ფრიადი“	დადებითი
81 – 90	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი
71 – 80	(C) „კარგი“	დადებითი
61 – 70	(D)„დამაკმაყოფილებელი“	დადებითი
51 – 60	(E) „საკმარისი“	დადებითი
უარყოფითი		
41 – 50	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი
40 და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი

4. მაგისტრატურის / დოქტორანტურის მისაღებ გამოცდებზე თითოეული გამოცდა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გამოცდის შეფასების პირობები გაწერილია

კონკრეტულ პროგრამაში.

5. კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად შესაბამისი სილაბუსით გათალისწინებული პირობების თნახმად;

6. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების / კვლევითი და სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) N3 ბრძანების შესაბამისად და გაწერილია შესაბამის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის დაცვის და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

7.დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

გარდა ზემოთაღნიშნული შეფასებისა, უნივერსიტეტში მოქმედ სადისერტაციო საბჭოებს უფლება აქვთ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა შეუსაბამონ ქულობრივ მაჩვენებელს შემდეგნაირად:

ა) ფრიადი (summa cum laude) –შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება(81-90 ქულა);

გ) კარგი (cum laude) –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება(71-80 ქულა);

დ) საშუალო (bene) –საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს (61-70 ქულა);

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) –შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) –არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო(41-50 ქულა);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს(0-41 ქულა).

(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

- „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
- „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 16. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

1. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა რექტორის ბრძანება დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით.

2. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

მუხლი 17. დიპლომი/მოწმობა

1. აკადემიური პროგრამის ყველა დონეზე ფასდება სტუდენტის სწავლების შედეგები. პროგრამით გათვალისწინებული დაგროვილი მინიმალური კრედიტების საფუძველზე (ბაკალავრიატში 240 კრედიტი, მაგისტრატურა - 120 კრედიტი). კრედიტი განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაცია (ხარისხი), რაც დასტურდება თესაუ-ს მიერ გაცემული დოკუმენტით – დიპლომით დანართთან ერთად, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას მფლობელის მიერ განხორციელებული სწავლის ხარისხის დონის, შინაარსისა და სტატუსის შესახებ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობა -არანაკლებ სამი წელი.

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

2. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო

საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

4. თუ 4 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ სტუდენტი სრულად შეასრულებს საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებს მასზე გაიცემა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, 2 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ სამაგისტრო პროგრამის სრულად შესრულების შემთხვევაში – მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

5. თუ ერთსაფეხურიანი საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი სრულად შეასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ მასზე გაიცემა მაგისტრის დიპლომი

(დამტკიცებულია წარმომადგენობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი N21 01.12.2023 წ.)

6. თუ 5 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი სრულად შეასრულებს პროგრამის მოთხოვნებს, მასზე გაიცემა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი.

7. 3 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ, თუ სტუდენტი სრულად შეასრულებს სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს, მასზე გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

8. 2 ან 3 სასწავლო წლის გასვლის შემდეგ პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სრულად შესრულების შემთხვევაში სტუდენტზე გაიცემა დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი. თუ სტუდენტი სრულად შეასრულებს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, მასზე გაიცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. მასწავლებლის მომზადების 1 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი განათლების დადასტურების დოკუმენტი. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

9. სტუდენტს ეძლევა დიპლომი წარჩინებით იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებში მიღებული ექნება აღნიშნული დებულების მე-15 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასებებიდან (A) კატეგორიის შეფასება პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის მინიმუმ 90%-ში. დასაშვებია სტუდენტს ჰქონდეს მიღებული მე-15 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დადებითი შეფასებებიდან (B) კატეგორიის შეფასება პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის მაქსიმუმ 10%-ში. აუცილებელია სტუდენტს მიღებული ჰქონდეს (A) კატეგორიის შეფასება საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში და პრაქტიკაში.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

ამ დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 19. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის ძალაში შესვლამდე არსებული მარეგულირებელი წესების მიხედვით ნაწარმოები საქმეები შესაძლებელია დასრულდეს შესაბამის დროს არსებული წესების თანახმად გარდა შეფასებათა სისტემისა.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, არფუნქციონირების ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება იღებს ვალდებულებას შესაბამის პროგრამაზე დარჩენილი სტუდენტები უზრუნველყოს შემდგომი განათლებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი არ იქნება საგანმანათლებლო პროგრამის ალტერნატიული პროგრამის შეთავაზება უნივერსიტეტის ბაზაზე, სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამაზე დარჩენილი კრედიტების ასათვისებლად ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს მობილობით და დარჩენილი სასწავლო კურსები გაიაროს საქართველოს იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი და რომელშიც ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა. სხვა შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს მობილობას სხვა უსდ-ში.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე მანანა ღარიბაშვილი /პროფესორი /